ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ზ. ჭ. ა. ზ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გასიტაშვილი – კომისიის თავმჯდომარე

მარინა კვაჭაძე – კომისიის წევრი

ლავრენტი ქავთარაძე – კომისიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი 23.02.2011 წელი

საჩივრის რეგისტრაციის №017/11.

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ზ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ზ.-ის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1 2011 წლის 23 თებერვალს ეთიკის კომისიას მომართა მოქალაქე ზ. ჭ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ზ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით ზ. ჭ.-ის კუთვნილ ტრაქტორს, რომელსაც მისი ვაჟი _ თ. ჭ. მართავდა, რუისის გზასთან დაეჯახა ხაშურიდან მომავალი მიკრო ავტობუსი. თ. ჭ.-

მ მიიღო სასამართლო უწყება, მიკრო ავტობუსის მძღოლის, დ. გ.-ის სარჩელთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნულ სარჩელის თაობაზე სასამართლომ მოპასუხის, თ. ჭ.-ის გამოუცხადებლობის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დააკისრა თ. ჭ.-ს 4000 ლარის ზიანის ანაზღაურება.

1.3 ქარელის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა თ. ჭ.-ს, რის შემდეგაც ზ. ჭ.-მ იურიდიული დახმარებისათვის მიმართა ადვოკატ, მ. ბ.-ს. მ. ბ.-მა გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საოლქო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ მოსამართლეს გამოეთხოვა გამოძიების მასალები და მათთან შეჯერებით მიიეღო გადაწყვეტილბა.

1.4 ზ. და თ. ჭ.-ებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70 – 78 – ე მუხლების თანახმად არ ჩაბარებიათ სასამართლო უწყება და სასამართლომ მხარეების წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. იქიდან გამომდინარე, რომ ჭ.-ებისათვის არ იყო ცნობილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსებობა იგი არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

1.5 2009 წელს ზ. ჭ.-თან გამოცხადდა აღმასრულებელი და საბუთის წარდგენის გარეშე წაიყვანა ზ. ჭ.-ის კუთვნილი ორი ტრაქტორი.

1.6 ზ. ჭ.-მ დახმარებისათვის მიმართა ადვოკატ ა. ზ.-ს და მხარეებს შორის 2009 წლის 9 ნოემბერს გაფორმდა რწმუნებულება.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს უნდა გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება, გაერკვია თუ რატომ წაიყვანეს ტრაქტორები და დახმარებოდა ზ. ჭ.-ს მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების აღდგენაში.

1.8 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების მიხედვით, მან ადვოკატს 200 ლარი რწმუნებულების გასაფორმებლად, 100 ლარი ბენზინისათვის და 800 ლარი საადვოკატო მომსახურებისათვის გადაუხადა.

1.9 საჩირვის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატი ა. ზ. ასევე იცავდა მოწინააღმდეგე მხარის, დ. გ.-ის ინტერესებს იმავე საქმეზე.

1.10 ზ. ჭ.-მ ეთიკის კომისიის წინაშე განმარტა, რომ ადვოკატმა არასათანადოდ გაუწია მას მომსახურება, არ დაიცვა მისი ინტერესები, სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე 500 ლარი ადვოკატის მითითებით გადაიხადა, ხოლო ტრაქტორები უკან არ დაუბრუნებიათ.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის უმოქმედობით ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე აღმასრულებელმა წაიყვანა მისი ტრაქტორები.

1.12 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებით, მოგვიანებით, ადვოკატ მ. ბ.-ის წარმომადეგნლობით, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დ. გ.-ის სარჩელი 4000 ლარის ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

1.13 ეთიკის კომისიის 2011 წლის 1 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი ზ. ჭ. და მისი წარმომადგენელი მ. ბ.. საჩივრის ავტორმა და წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საჩივარს და დამატებით განმარტეს, რომ ადვოკატ ა. ზ.-ს არ ჰქონდა უფლება წარმოედგინა ზ. ჭ.-ის ინტერესები სამოქალაქო სახის დავაში, რადგან ადვოკატის მოწმობა გააჩნდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, 2009 წლის 9 ნოემბერიდან ახორციელებდა ზ. ჭ.-ის ინტერესების დაცვას, მხარეებს შორის გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მას უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სააღსულებო ბიუროში და სასამართლოში. ადვოკატმა მიმართა აღმასრულებელს საქმის მასალების გადაცემის თაობაზე. ამასთან, ადვოკატმა კლიენტს სთხოვა წარმოედგინა აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა საბუთი და მტკიცებულება.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ დროის მოგების მიზნით კლიენტს ურჩია გადაერიცხა თანხა მოსარჩელის ანგარიშზე. ამასთან, ადვოკატმა კლიენტს დამატებით ურჩია, რომ სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე გადარიცხა 500 ლარი, რაც აღსრულებას შეაჩერებდა.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ კანონით არ არის შეზღუდული, რწმუნებულების საფუძველზე აწარმოოს, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო საქმე. ამასთან, ადვოკატი აღნიშნავს, რომ იგი ყველა ინსტანციის სასამართლოში ვერ დაიცავდა ზ. ჭ.-ის ინტერესებს. ა. ზ. განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში თუ გახდებოდა აუცილებელი სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვა, კლიენტის ინტერესებს მისი ახლობელი ადვოკატი დაიცავდა.

2.5 ადვოკატმა, ა. ზ.-ის დამატებით განცხადა, რომ მოწინააღმდეგე მხარის, დ. გ.-ის ინტერესების დაცველი არ გახლდათ.

2.6 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 1 ივნისის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ა. ზ. და წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას დაუჭირა მხარი. ამასთან, ადვოკატმა კომისიის დამატებით დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2011 წლის 23 მარტს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ზ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში ადვოკატ ა. ზ.-ის მიერ შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე პუნქტი.

3.3 საპროცესო კოლეგია აღნიშნა, რომ ადვოკატი ა. ზ. არის მოქმედი ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. შესაბამისად, ადვოკატს არ გააჩნდა კვალიფიკაცია სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, რითაც რისკის ქვეშ დააყენა კლიენტის ინტერესების დაცვა. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით.

II ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოება საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ა. ზ.-ს უნდა წარმოედგინა კლიენტის, ზ. ჭ.-ის ინტერესები სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით ყველა ინსტანციის სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2011 წლის 9 ნოემბრის № რწმუნებულება, გაცემული ნოტარიუს ნ. გ.-ის მიერ.

2. ეთიკის კომისიის 2011 წლის 1 ივნისის სხდომის ოქმი, ზ. ჭ.-ის და მისი წარმომადგენლის ახსნა-განმარტება.

3. ეთიკის კომისიის 2011 წლის 1 ივნისის სხდომის ოქმი, ადვოკატ ა. ზ.-ის ახსნა-განმარტება.

4.1.2. ადვოკატი ა. ზ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში ირიცხება, როგორც სისხლის სამართლის სპეციალისტი.

ეთიკის კომისია დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი სია, სიითი №

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ა. ზ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართველბრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისია მიიჩნავეს, რომ ადვოკატ ა. ზ.-მ პროფესიული საქმიანობის შესრულებისას დაარღვია შემდეგი მუხლი:

6.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე პუნქტი: ”ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.”

6.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუქტის თანახმად “ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.”

6.4 “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მეორე მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის საქმიანობის ფარგლებს, რომლის თანახმად” საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.”

6.5 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ დასახელებული მუხლის თანახმად ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლინტისადმი დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის ფარგლებს და ადვოკატს აკისრებს ვალდებულებებს კლიენტის მიმართ.

6.6 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით ადვოკატმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კვალიფიციურად უნდა განახორციელოს. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატი უნდა ფლობდეს და იყენებდეს კლიენტის უფლებების დასაცავად სამართლებრივ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, კეთილსინდისიერებას და მომზადებას, რომელიც გონივრულად აუცილებელია კონკრეტული საქმისათვის.

6.7 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით" ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს."

6.8 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ა. ზ. არის მოქმედი ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციამ და კანონმა მას სისხლის სამართლის მიმართულებით მიანიჭა კვალიფიკაცია გაუწიოს კლიენტებს საადვოკატო მომსახურება, თუმცა ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას და საადვოკატო მომსახურებას.

6.9 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. ზ.-ს არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას სამოქალაქო საქმეზე, რითაც რისკის ქვეშ დააყენა კლიენტის ინტერესების დაცვა. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით.

6.10 ეთიკის კომისია არ იხილავს, რამდენად კვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა ადვოკატმა კონკრეტულ შემთხვევაში. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს თავად იმ ფაქტს, რომ ადვოკატს არ ჰქონდა შესაბამის სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა, რაც ქმნის იმის რისკს, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმომადგენილი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის ახსნა-განმარტების მიხედვით ის უკმაყოფილო იყო ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებით.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კომისიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და 35-ე მუხლით; „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური

წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების მე-19 და მე-20 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. ზ.-ის მიმართ, /სიითი # №/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
3. ადვოკატ ა. ზ.-ს უფლება აქვს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

ეკატერინე გასიტაშვილი

მარინა კვაჭაძე

ლავრენტი ქავთარაძე